№ 20. 28 იანვარი, ხუთშაბათი. 1866—1882 28 იანვარი, ხუთშაბათი. № 20.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ.; [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ნამეორებისათვის [illegible] ზე მეორე.
თუ ხაჭარიუები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე", ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . . | 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 26 იანვარს. რეალურ სასწავლებელთა წესდების გადასასინჯავად დანიშნულმა კომისიამ გადადვა თავის მუშაობა და ვადაც არ დაუნიშნავს—თუ როდის უნდა შეუდგეს ხელ-მეორედ თავის საქმეს.

ცეტინიე, 25 იანვარს ვიღაც უცნობ კაცმა თოფი ესროლა ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლაის.

ხარკოვი, 26 იანვარს. სასამართლომ დაიწყო პოლიტიკურ პროცესის განხილვა; სულ 9 დამნაშავეა, ამათგან 4 მცირე-წლოვანი.

პეტერბურღის ბირჟა, 26 იანვარს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—87 |
| მეორესი — — — — | 91—37 |
| მესამესი — — — — | 91—50½ |
| მეოთხესი — — — | 91—50 |
| მეხუთესი — — — | 91— „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90—62½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90—37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— 2 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 218—75 |
| მეორე სესხის — — | 217— 5 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—75 | პენსი |
| ჰამბურღი — | 211— „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 259—87 | სანტიმი |

## შემთხვევა ქალაქის რჩევაში

თფილისი, 27 იანვარს.

მთელი ქალაქი ლაპარაკობს იმ შემთხვევაზე, ანუ როგორც ეძახიან, „სკანდალზე", რომელიც ამ ორშაბათს მოხდა ქალაქის რჩევის სხდომაზედ. აი რაში მდგომარეობს ეს „სკანდალი":

როდესაც განსახილველ საგანთა სიაში მოხსენებულს ქალაქის ნავთის წყაროებით იჯარით გაცემაზე იყო ლაპარაკი, ამ დროს წამოდგა ხმოსანი ბ-ნი ნ. დ. ზუბალოვი და ცხარე სიტყვებით მოიხსენა ზოგიერთი მოქმედება ქალაქის გამგეობისა და გარდაწყვეტილება რჩევისა; სხვათა შორის, რჩევისაგან მიღებულს და დამტკიცებულს 1882 წლის ბიუჯეტზედაც (შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაზედაც) სთქვა რამდენიმე მკვახე სიტყვა: ქალაქს შეძლება არა აქვს და თქვენ კი უსარგებლო საგნებზე ხარჯავთ ათას მანეთობითო, ესა-და-ეს გარდაწყვეტილება რჩევისა უაზრო გარდაწყვეტილება არისო, ვალს რომ იღებთ, ხელიდამ გაგიქრებათო და სხვ.

სხდომის თავს-მჯდომარემ, ქალაქის თავმა სამჯერ გააჩერა ხმოსანი ლაპარაკის დროს; ამ საგანზე სჯა გათავებულია, ხელ-ახლავ ლაპარაკის ნებას არ გაძლევთო, მაგრამ ბ-ნი ზუბალოვი თავისას არ იშლიდა და პილპილით შეზავებულს სიტყვებს ესროდა გამგეობასა და რჩევას.

ამ დროს უეცრად წამოდგა თავის დგილიდამ ერთი წევრთაგანი ქალაქის გამგეობისა ა. ა. თამამშევი, მიაშურა კარებისაკენ და რომ მიდიოდა, ხმა-მაღლა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები და გავიდა გარეთ:

— ღირს განა, რომ მაგ უვარგისის (негодяй) სიტყვები გაიგონოს კაცმა!

კრებაში შეიქნა საშინელი მღელვარება და ხმაურობა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ყველანი ყვიროდნენ, ხელებს შლიდნენ და არავის კი არ ესმოდა—ვინ რას ამბობდა.

ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა მოითხოვა, რომ ეს სიტყვები ბ-ნი თამამშევისა პროტოკოლში იქმნეს ჩაწერილი. ქალაქის თავმა შეასრულა ეს მოთხოვნილება და შემდეგ სხდომა დახურა.

აი ეს არის ის „სკანდალი" და „საშინელი შემთხვევა", რომელიც გასულ ორშაბათს მოხდა ქალაქის რჩევის კრებაში.

ზოგი ამბობს, რომ ამ გვარ „სკანდალების" შემდეგ ქალაქის თვით მმართველობას არაფრის გარიგება და გაკეთება არ შეუძლიანო; თუ სულ მუდამ ჩხუბი და ლანძღვა-გინება ატყდა კრებაში, რას უნდა მოველოდეთ ამ გვარ რჩევიდამაო?

ზოგი შიშსაც აცხადებს: თუ ასე წავიდა საქმე, შეიძლება სულაც დახურონ და მოგვისპონ ქალაქის თვით მმართველობაო. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

ჩვენ რო გვკითხოთ, უჩვეულებრივო, საშინელი და მაინცა-და-მაინც წარმოუდგენელი ამ ზემოხსენებულ შემთხვევაში არა არის-რა.

რასაკვირველია, ამ გვარი მაგალითები მისაბაძავი არ არის; რასაკვირველია, სამწუხაროა, როდესაც კრება, რომელიც საქმეს უნდა არიგებდეს, ქალაქის საზოგადო სარგებლობისათვის უნდა ზრუნავდეს, ამის მაგიერ ლანძღვა-გინებაში, ერთმანეთის კინწლაობაში ატარებს დროებას და პირადი ანგარიშები და განხეთქილება ვარდება წევრთა შორის.

ვამბობთ, ყველა ეს სამწუხაროა და, თუ გნებავთ, გასაკიცხავიც; მაგრამ უჩვეულებრივო და საშინელი კი არა არის-რა. და ამით, თუ მთელი კრება კინწლაობად არ გარდაიქცა, მაინცა-და-მაინც ბევრი არა გაფუჭდება-რა.

რაიცა შეეხება იმას, რომ ამ გვარი მაგალითები ამტკიცებენო, რომ ჩვენ თვით-მმართველობისათვის მომზადებული არა ვართ და შეიძლება წაგვართვან ეს თვით-მმართველობაო,— ესეც ერთობ უსაფუძვლო მოსაზრება არის. სამოც-და-თორმეტ კაცში რომ ორი და სამი ცხარე ხასიათის და შეუკავებელ ენის პატრონი გამოერიოს, ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ თვითმმართველობა უვარგისი რამ იყოს, რომ პოლიციური წესი ქალაქის გამგეობისა ახლანდელს სჯობდეს. რასაკვირველია, თუ წართმევა უნდათ, უამისოთაც წაგვართმევენ, რაც მოგვცეს; მაგრამ, ვიმეორებთ, ამ გვარი შემთხვევა არავითარ საფუძველს არ აძლევს არავის იფიქროს, რომ ჩვენი ქალაქი და ხალხი თვითმმართველობისათვის მომზადებული არ იყოს...

ყოველს შემთხვევაში, სანატრელია, რომ ამ გვარი შემთხვევა აღარ გამეორებულიყვეს ჩვენს რჩევაში.

## დღიური

ფოთი-თფილისის რკინის გზის ბომის სტანციიდამ საჩივარს გვწერენ ამ სტანციის უფროსზედ: თავის დროზე ბილეთები ვერ მიგვიღია იმისაგანო ამ სიცივეში თითო საათობით გარეთ ვყრივართ და ვიჩხრიკებითო, საქონლის მიღებასა და გაგზავნასაც მუდამ გვიძნელებს და სხვა.

* * *

იმ უკმაყოფილების და საჩივრის დასამტკიცებლად, რომელიც „ადრესის სტოლის" შემოღების წესზე ისმის ქალაქში, გაზ. „თფილისის განცხადებებს" შემდეგი ფაქტები მოჰყავს: სამ გვარი წიგნები დაუმზადებია პოლიციის ადრესის სტოლისა: ერთი 3 მანეთიანი, მეორე 1 მან. და 25 კაპ. და მესამეც 50 კაპეიკიანი. გამოცხადებული იყო გაზ. „კავკაზში", რომ სახლის-პატრონებს რომელიც უნდათ ამ სამის წიგნიდამ, იმას იყიდიან. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა ნაირად მოჰყავს პოლიციას საქმე. აღმოჩნდა, რომ მარტო სახლის-პატრონებსე კი, არა მეფუნეებზე და უბრალო ხელოსან ხალხზეც ძალდატანებით ჰყიდიან ამ წიგნებს. მაგალითად: ბაძაევის სახლში თვითონ სახლის-პატრონს ცალკე მიჰყიდეს ეს წიგნი, მეფუნეს ცალკე მიაჩეჩეს ხელში, ბაყალს ცალკე და ღვინის სარდაფის მეპატრონეს კიდევ ცალკე. აგრეთვე სოკოლოვის სახლში.

ყურადღების ღირსია, რომ პოლიცია ზოგზე 3 მანეთიანი წიგნებს ჰყიდის, ზოგს 1 მან. 50 ახდევინებს, ზოგს 2 მანეთს, ზოგს რვა აბაზს, და ათ-შაურიანი წიგნები კი არა სჩანს. ერთს წყლის მზიდავ ოსს ღამით შეუვარდა ამას წინად პოლიციის სალდათი, და დიდის ჩხუბითა და მუქარით მიაჩეჩა ხელში რაღაც წიგნი და 2 მან. 50 კაპ. გარდაახდევინა. რად უნდა ამას ეს წიგნი? მარტო თვითონ არის და ერთი ჯაგლაგი ცხენი ჰყავს!

თუ ყველა ეს მართალია, კი ჰმართებს ქალაქს ჩივილი და უკმაყოფილების გამოცხადება.

საინტერესოა სხვათა შორის, შეტყობა: როდესაც ათ შაურიან წიგნებს ძალად აჩეჩებენ პოლიციელები ხამ ხალხს, ნეტავი აძლევენ კვიტანციას, თუ არა! თუ აძლევენ, რა სწერია ამ კვიტანციებში?

უეჭველია, ამ გარემოებას მაინც მიაქცევს ადმინისტრაცია ყურადღებას.

***

როგორც ქართულ დრამმატიულ დასს, ისე სომხურ ტრუპპასაც მოსვლია პეტერბურღიდამ დაპატიჟება მომავალ დიდ-მარხვაში წარმოდგენების გასამართავად. მაგრამ, ამბობენ, სომხები პირობებზე ვერ დათანხმდნენ და ამის გამო არ მიდიანო.

ქართულ დრამმატიულ დასმა კი, როგორც გავიგეთ, ამ თავითვე 5,500 მანეთის გამოგზავნა სთხოვა პეტერბურღის ანტრეპრიონერს „ქართულ დრამმატიულ საზოგადოების“ სახელობაზე. ხუთი კვირა დავრჩებით და ათ წარმოდგენას გავმართავთო. ამ წინადადებაზე ჯერ პეტერბურღიდამ პასუხი არ მოსვლიათ. თუ პირობაზე მორიგდნენ, ჩვენს დასს ზურნაც მიჰყავს პეტერბურღში.

***

მოსკოვის გაზეთს „რუსსკი კურიერში“ შემდეგი ქუთაისიდამ მიღებული ამბავია დაბეჭდილი:

„ერთი აქაური ხირურგი თურმანიძე სისხლის სამართალში მისცეს იმის გამო, რომ ერთის ქალის შვილოსნობიდამ ძალად განთავისუფლება უნდოდა და ამ დროს ეს ქალი ხელში შემოაკვდა. ამ თურმანიძეს არავითარი უმაღლესი სწავლა არ შეუსრულებია, არც დიპლომი ჰქონია. ამის მამა განთქმული ექიმი იყო აქ და თავის ცოდნა შვილს გარდასცა. ამ რამდენიმე წლის წინად ერთი აქაური ინჟინერი ზაგემეისტერი იყო ავად; და ყველა ექიმებმა ხელი აიღეს იმის მორჩენაზე; თურმანიძემ ოპერაცია გაუკეთა და მოარჩინა. ამის შემდეგ, როდესაც მთავრობას გასულ ომიანობის დროს სამხედრო ექიმები ეჭირებოდა, ეს თურმანიძე აქ ურცხენოსან-ირრეგულიარულ პოლკის ექიმად დანიშნეს“.

ზემო-ხსენებულ საქმის გამო, ეს თურმანიძე ამ ჟამად ქუთაისში სატუსაღოში ზის და გამოძიებაა დანიშნული.

# უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟი, 24 (12) იანვარს („დროების“ კორრესპონდენცია). ახალმა (გამბეტტას) სამინისტრომ მხოლოდ დღეს წარმოადგინა რეფორმების პროექტები პალატაში.

ბ. გამბეტტას პოლიტიკა აქამომდე ერთობ აშკარა და გამბედავი პოლიტიკა იყო. უმთავრეს სახელმწიფო ვალდებულების ასასრულებლად იმისთანა კაცები მოიწვია, რომელნიც პირ-და-პირ მონაწილეობას იღებდენ, ესრედ წოდებულ 1877 წლის სახელმწიფო შეთქმულობაში, როდესაც ბროჰლის მომხრე კაცებმა ისევ მონარხიის აღდგენა განიზრახეს საფრანგეთში. ამ გვარის მოქმედების უკმაყოფილება გამოცხადდა რვა იანვარს, მაიორის ლაბორდერის სენატორად ამორჩევით. ამ მაიორმა 1877 წელს არ მიიღო მონაწილეობა ზემო-ხსენებულ შეთქმულობაში და კიდევაც წინააღუდგა მაშინდელ რესპუბლიკის მოღალატე მმართებლობის ბრძანებას.

დღემდის დეპუტატების პალატა თითქმის მარტო ბიუჯეტს იხილავდა; დღეს-კი სამინისტრო და პალატა ძრიელ საინტერესო საქმეზედ არიან მიმდგარი: კონსტიტუციის რევიზიაზედ. ჩვენს მკითხველს ეცოდინება რომ ბ. გამბეტტას პროექტი დეპარტამენტობით კენჭის-ყრის შესახებ დეპუტატების პალატამ მიიღო ამას წინად და სენატმა კი უარი-ჰყო. გახდა თუ არა ახლა გამბეტტა სამინისტროს თავად, ისევ სიებით კენჭის ყრის შემოღების პროექტი შემოიტანა. ეხლა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ბ. გამბეტტა, რომ ამ საქმეს არაფერი დაბრკოლება არ მიეცემოდა, პირ იქით ახალ დაბადებულ პირობაებს, პირველის შეხედვით, ხელიც უნდა მოეწყო. ერთის მხრით პალატაში მმართებლობის მომხრეთა უმრავლესობა ეგულებოდა; მეორეს მხრით, რვა იანვარს რომ სენატორებს ამორჩევები მოხდა, რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს და რამდენიმე ახალი სენატორის ადგილი წაართვეს მონარხიელებს; უმეტესი ნაწილი ახლად არჩეული სენატორებისა კონსტიტუციის გადათვალიერებისა და შეცვლის მომხრენი იყვნენ. ზოგიერთი სენატორები თვით სენატის სრულიად მოსპობაზედ თანხმანი იყვნენ!

თვით მმართებლობას, როგორც ეს სჩანდა გამბეტტას სამინისტრო ცირკულიარიდამ, რევიზია სურდა, მაგრამ ეს რევიზია უნდა ყოფილიყო „გონივრულად გაზომილი“.

გამბეტტამ შეიტანა შემდეგი პროექტი პალატაში: პალატას უნდა მიეღო დეპარტამენტობით კენჭის-ყრის წესი და ეს წესი კონსტიტუციაში უნდა ჩაწერილიყო. თვით კონსტიტუციის რევიზია უნდა მომხდარიყო იმ რიგად, როგორც ამას სამინისტრო ისურვებდა, ე. ი. ამ კონსტიტუციის მუხლები უნდა გამოეცვალა პალატას, რომელსაც სამინისტრო წინდა-წინვე მიუთითებდა.

პალატამ 33 დეპუტატისაგან შემდგარი კამისია ამოირჩია ამ პროექტის განსახილველად. გაცხარებული ბაასი ატყდა ამ კამისიაში. უმთავრესი აზრი ამ ბაასისა ის არის, რომ პალატამ ნახა საჭიროდ კონსტიტუციის გადახედვა და რომ კონგრესს (პალატასა და სენატს) ეკუთვნისო სრული უზენაესობა ამ საქმის განხილვაში; სამინისტროს არავითარი უფლება არა აქვსო, რომ პალატას წინდა-წინვე გაუსამზღვროს და უთხრას: ამ კონსტიტუციის მუხლზედ მოახდინე სჯა და იმაზედ ნუო. რაიცა შეეხება კენჭის-ყრის სისტემის გამოცვლას, თითქმის მთელი პალატა წინააღმდეგია. კამისიის ბიუროებში ითქვა: ჩვენივე ხელით სამინისტროს უნდა მახე დაგვიგოსო; ჩვენ რომ დეპარტამენტობით კენჭის-ყრა მივიღოთ, მმართებლობას როდესაც ენებება, დაგვითხოვსო. ან რა საჭიროაო იმისთანა კანონი მივიღოთო, რომელსაც მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ ელის განხორციელებაო და სხ.

ბოლოს კამისიამ შეადგინა თავის მოხსენება, რომელსაც ის წარადგენს ხვალ პალატაში, სადაც იმაზედ იქნება უმთავრესი სჯა.

კომისია თავის გარდაწყვეტილობაზედ ძრიელ მაგრად დგას, გამბეტტაც თავის პროექტს არაფერს არ აკლებს და არც უნდა უთავაზოს კომისიას არაფერში ასე, რომ ახალი სამინის-

«დროების» ფელეტონი, 28 იანვარი.

## ცხელ-ცხელი ამბები

ერთხელ თურმე ახალციხეში, ზამთარში, დონის ყაზახი-რუსი დაიკარგა. ბევრი ეძიეს მაგრამ არ იქნა მასი პოვნა! ბოლოს, როდესაც გამოზაფხულდა და დედა-მიწამ შრობა დაიწყო, ერთს მთავარ ქუჩაზედ შენიშნეს, რომ მიწიდამ შუბის წვერს ამოეყო თავი და ცოტათი მოჩანდა; მიეიდენ, გათხარეს მიწა და იქ ნახეს ის დაკარგული დონის ყაზახი: თურმე ტალახში ჩავარდნილიყო საბრალო, გაევლო ძირი ცხენიან-შუბიანა და ისე დარჩენილიყო, თითქო „ფრუნტში“ გამოჭიმულაო...

რამდენად მართალია ეს შემთხვევა, ამას მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდება, მაგრამ ეს კი არის, რომ ძალიან ღრმა ტალახი კი უნდა ყოფილიყოს, რომ ამისთანა მსხვილი ტყვილი უთქმევინებია.

ეს არაკი მაშინ არის დაბადებული, პირველად რომ რუსები შემოსულან ჩვენში, თორემ დღეს ახალციხის ქუჩებზედ ქათამსაც არა უჭირს-რა, რომ გაიაროს!

მაგრამ ეს ზემო მოყვანილი არაკი დღესაც კი ეკადრება ქუთაისს! სწორედ საშიშია სახლიდგან გარედ ფეხის გამოდგმა: თუ ვაგლახათ ფეხი აგისხლტა როგორმე და ჩავარდი ტლაპოში, მშვიდობით, ცოლო და შვილო! მგონია ველარც ზაფხულში გიპოვონ!...

დიდი სიფრთხილე მართებს ქუთაისში მცხოვრებ კაცს, დიდი... თუ ტალახს გადაურჩა როგორმე, მაშინ ავაზაკების ფიქრია: არ შეიძლება, რომ ან ერთმა და ან მეორემ არ დაახრჩოს, და პატრონი და მშველელი კი არსად არის!

არც ქალაქის გამგეობა და არც პოლიცია ყურებსაც არ აპანტურებენ ამ შემთხვევაში... ერთი მეორეს აბრალებს, ორივე თავს მართლულობს და ორივე კი მტყუანია. ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, ჩვენი ყმაწვილკაცები მაინც არ ერიონ იმ ქალაქის რჩევა-გამგეობაში!... ამ დალოცვილებს, თითქო უკეთესი და უფრო საჭირო საქმე ველარ მოუნახავთ, უნაყოფო საქმე გაუჩენიათ: მოშაირონასთან მხურვალე ბაასი და კარაპეტების დავთრების ჩხრეკა დიდი საქვეყნო საქმე ჰგონიათ!... გაბმულან უღელში და უნებურად გვაგონებენ იმ ერთს ზღაპარს, სადაც ნაცარ-ქექიამ ასი უღელი ხარ-კამბეჩი შეაბმევინა და ურემზედ კი ერთი კვერცხის მეტი არა იდვა-რა და ისიც თურმე ლაყე იყო!

მართალია, დღეს ვალშია ჩავარდნილი ქუთაისი, მაგრამ იმდენი საშუალება კიდევ აქვს, რომ გამოძებნოს სხვა-და-სხვა სასარგებლო წყაროები და სული მოიბრუნოს, თუ კი ისარგებლებს.

მაგრამ ჩვენში სულ სხვა ნაირად ესმისთ შეძენა და სარგებლობა: პირველი ჰგონიათ მტაცებლობა და მეორე უგემურად ჭამა!... ვისაც შეძენა უნდა რამესი—და ვის არ უნდა?—უთუოდ ან სხვას უნდა სძლიოს და წაართვას, ან სუდის ხრიკებით იგდოს რამე ხელში, ან ილოცოს, რომ ნათესავები გაუწყდეს და მემკვიდრეობა მიიღოს, ან სხვებ როგორმე იუკუღმართოს და სხ., თორემ ისე შეძენა, ესე იგი პატიოსანის შრომითა და საქმით, სხვის დაუკლებლად, რა არის არ იციან. ამის გამო ჩვენში ხალხი ორ დასად არის გაყოფილი: დაჩაგრულებად და დამჩაგვრელებად. ეს ორივე დასი მუდამ შრომაში და მოუსვენრობაში არის და ირყვნება ქვეყანა!

ქუთაისის ქალაქსაც, მგონია, ასე ესმის შეძენა: იმან გამოიღო ხელი და სუდის ხრიკით ააფცქვნა თავად-აზნაურობას რამდენიმე სათავად-აზნაურო ადგილები ქუთაისში.

ახლა ვიცი, მკითხავთ; რად დაანებეს თავის საკუთრებაო და რატომ არ გამოიღეს ხმაო? — ეჰ, დალოცვილებო! ვინ უნდა ამოიღოს ხმა? ჩვენი ამორჩეულები განა იმისთვის მოიცლიან? ჩვენ ვირჩევთ მოწინავე კაცებს განა მისთვის, რომ ქვეყანას ემსახურონ და ხალხზედ იფიქრონ? რა ბძანებაა!.. იმათ თავიანთი საქმე აქვსთ!

ჩვენ ამორჩეულებს თავისი კერძო მოთხოვნილება და საჭიროება საქვეყნო საქმეთ მიაჩნიათ!

აი რისთვის იტეხენ ხოლმე თავს, დაუხეთქენ სხვებსაც სამ წელიწადში ერთხელ!

ძველად მაისის თვეს ვარდის თვე ერქვა, და ახლა კი მუშტი-კრივის თვე უნდა დავარქვათ, რადგანაც იმ დროს არის ხოლმე ამორჩევანი.

ეს თვე წრეულ მაისშიაც დადგება; მაგრამ, მგონია, როგორც ნი

ტროს კრიზისი ძრიელ მოსალოდნელია *).

ალ. ძიძია.

---

(გაზეთებიდან)

**სერბია.** ამ 1882 წელს შეუსრულდებათ სერბიელებს დიდი ხნის წადილი—კონსტიტუციაში სხვა-და-სხვა ცვლილების მოხდენა.

მაგრამ ამ სასიამოვნო მოლოდინთან ერთი გარემოება აწუხებს სერბიას: ბოსნიისა და ჰერცოგოვინის აჯანყება, რომელიც, როგორც სერბიელები ამბობენ, თუ არ ჩაფუშავს მათ წადილს და იმედებს, თუ არ შეარყევს მათ მშვიდობიან ცხოვრებას, ხელს მაინც საკმაოდ შეუშლის.

თუმცა სერბიელები გაიძახიან, რომ მათ არ სურთ ავსტრიასთან დაარღვიონ მშვიდობიანური განწყობილება, არა სურთ არავითარი ომი, მაგრამ მეორეს მხრით ჰხედვენ, რომ ეს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის აჯანყება უეჭველად გამოიწვევს ავსტრასა და რუსეთს შუა უსიამოვნო განხეთქილებას და მაშინ კი არ შეეძლება; სერბიას ხელ-გულ დაკრეფილი ჯდომა, უნებლიედ იძულებული იქნება გაეხვიოს ომშიო. სერბია იმ აზრისაა, რომ თუ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას საიდანმე დახმარება არ ჰქონდეს, ვერ გაბედავდნენ ასე თამამად აჯანყებასაო. ამ გვარს საქმეს ხომ ცოტა არ დაჰჭირდებოდა და დასჭირდება ფულიო, ამბობენ სერბიაში, ჩვენ ვიციტო, რომ სერბიის მმართებლობას ერთი გროშიც არ გაღუღვია აჯანყებულთათვისო, მაშასადამე, საიდამ აქვთ შემწეობაო! ეჭვი არ არის რუსეთიდამ უნდა ჰქონდეთო.

---

**იტალია.** იტალიის წარმომადგენელს სტამბოლში მიუვიდა თავის მმართებლობისაგან მოწერილობა, რომ ეგვიპტეს საქმეების შესახებ ისეთი პოლიტიკა დაიჭიროს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდეს ამ ქვეყანას, ე. ი. ეგვიპტეს. ამ გვარის პოლიტიკის წყალობით იტალიას, რასაკვირველია, უფრო მიემატება პატივისცემა და სიყვარული ეგვიპტეს ერისა და ეს პატივისცემა მით უფრო გაძრიელდება, თუ რომ იტალია ამ შემთხვევაში არ მიემხრო საფრანგეთსა, რომელსაც ერთობ გაუტყდა სახელი თუნისის აჯანყების შემდეგ და რომელსაც შეუმცირდა პატივისცემა არაბელთ შორის, რომელნიც ნატრულობენ, რომ საფრანგეთისგან დაპყრობილი თუნისი იტალიას ჩავარდნოდეს ხელში.

---

მკითხველმა იცის ტელეგრამმიდამ, რომ მართლაც გამბეტტას სამინისტრო, ამ საქმის გამო, იძულებული შეიქნა სამსახურიდამ დათხოვნილიყო.

რედ.

## ქართული ისტორია *)

როგორც სომხური ლეგენდა არტავაზზე და ქართველებისა ამირანზე, აგრეთვე ოსების ზღაპარი წარმოგვიდგენენ ძველს ელლინურს თქმულებას პრომეტეზზე, რომელიც ელლინების გამოხატულობით ყოფილა ძე იაფეტისა და მამა ღევკალიონისა და რომელიც იუპიტერს კავკაზის ქედზე მიულურსმავს და აქ იმისთვის მიუჩენია ძერა იმის გულღვიძლის ამოსაჭმელად. ასე დაუსჯია იუპიტერს პრომეტე იმისთვის, რომ იმას მზისთვის ჩამოუტაცნია ზეციური ცეცხლი, რომელიც ადამიანთათვის მიუნიჭებია.

ვიმეორებთ: არ შეიძლება რაიმე ისტორიული მნიშვნელობა მივთვისოთ ქართლის ცხოვრების თქმულებას ქართველთ შთამომავლობაზე და იმათის ისტორიის დასაწყისზე. ამ სიტყვებით ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ძველი გარდამოცემა იმისი სრულებით ზღაპრული იყოს. ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრების პირველნი შემადგენელნი დამონავებულნი ჰყოლია უცხო-ტომთ მწერლობას; მაგრამ გარეშე ამ ზედ-მოქმედებისა ქართლის ცხოვრება არ არის მთლად უარ-საყოფელი; მაგალითებრ, ქართველების წინა-პართ მოსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთით სრულებით ეთანხმება ახლანდელს არხეოლოგიურ გამოკვლევას. გარდა ამისა იმას შემოაქვს ზოგიერთი თქმულება, რომელიც ნამდვილ შემთხვევაებს შეიცავს. ამ გვარნი შემთხვევანი არიან: დასახლება საქართველოში სხვა-და-სხვა უცხოტომთა-ურიათა, თურქთა, ელლინთა; აგრეთვე ხაზართ ბრძოლა და იმათგან დასახლება ოსებისა ჩრდილო-კავკაზად. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ურიანი ძველის-ძველადვე არიან ამ მხარეში დამკვიდრებულნი, როგორც ამას ჰმოწმობენ ისტორიული და არხეოლოგიური საბუთები. ზემოხსენებულთ თურქთ შთამომავლობად ჰხადიან ორბელიანთ გვარს. ელლინების კოლონიებზე შავი ზღვის პირად ჩვენ კიდეც მოვილაპარაკეთ ზემოდ, მაშასადამე ამ შემთხვევაში ეჭვს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ხაზარნი ანუ ევროპიელთ მწერალთ სკვითნი ეკუთნოდნენ ძველადვე ვრცლად გავრცელებულს საშუალო-აზიაში ტურანის მოდგმას ანუ ნათესაობას, რომელსაც შეადგენდნენ ოთხი უმთავრესნი შტონი: თუნგუზნი, მონგოლნი, თურქნი და ფინნი. ხაზარნი გავრცელებულნი [illegible] მოყოლებით [illegible] ჩრდილოდ ვიდრე შავ ზღვამდე და ტავრო-ხერსონამდე, ანუ ახლანდელს ყირიმამდე. ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც დაღისტნის ავარები იმათის მონათესავე დიდოს ტომით, იყვნენ ხაზარნი ანუ ჰუნნი. ხაზართ შთამომავლობადვე ჰხადიანი თვით ჩერქეზებს. არც ერთი ამ აზრთაგანი არ არის ლინგვისტიკურად გამოკვლეული და ამისთვის ჯერ-ჯერობით არ შეიწყნარება.

ქართლის ცხოვრება გვიამბობს ხაზართ გავლას ზღვის კარით დარუბანდით და იმათგან დატყვევებას სომხებისას და ქართველებისას, სანელებისას და მოვაკნელებისას. ეს მოთხრობა, ზოგიერთ მეცნიერთ სიტყვით, ეთანხმება ჰეროდოტის ნაამბობს სკვითების გამხედრებაზე ამ მხარეებში.

„როდესაც სკვითნი სდევნიდნენ კიმმერიელებს, კიმმერიელებმა მიჰმართეს შავი ზღვის ნაპირ აფხაზეთს და კოლხიდას, ხოლო სკვითებმა (ანუ ქართველების ხაზარებმა) განვლეს კავკაზი, რომელიც იმათ მარჯვნივ მდებარეებდა, გაირეს დერბენდი და აქედამ დაესხნენ აზიას დასავლეთისას და დაიმონავეს ისა 28 წლის განმავლობაში, ესე იგი 633 წლით 605 წლამდე ქრისტეს წინ. ქართლის ცხოვრება ამტკიცებს ერთ შემთხვევას, რომელიც ამ გარემოებაზეა დამოკიდებული და რომელიც გადმოგვცეს ბერძნებმა. ეს შემთხვევა არის სკვითებისაგან მიდიელთ კოლონიების გადმოსახლება კავკაზის ჩრდილოდ.

„როდესაც სკვითებისა ანუ ხაზარების მეფე პირველად დაეცა კავკაზიი სამხრეთად მდებარე ქვეყნებს და აოხ-,

*) იხ. „დროება" № 19.

---

ნებიდან ა სჩანს, მარტო მუშთ-კრივზედ არ გადაიაროს წრევანდელმა კრებამ და ხმალ-ჯოხობაც იქნეს!.. აი საქმე რაში მდგომარეობს.

წრევანდელ წელს მოელიან ერთს იშვიათ შემთხვევას, რომელიც პირადად მოუხდებათ და ჯილდოს მიაღებიებსთ ამორჩეულებს. ამისათვის ყველას გამოუჭყეტია თვალები.

ამ თავითვე შეუდგნენ თავდარიგს!.. თითო ადგილზედ ჯერ-ჯერობით ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი კანდიდატია და, იმედია, მაისამდი კიდეც გოცდენ... აი თუ მერეც გოცებული დარჩენ!.. სეირი არ იქნება?!.

მოძრაობა, დიპლომატიური მიმოსვლა და მიმოთქმა ახლავე იწყეს. ერთი ამბობს:

„—არა, ახლა სულ სხვა დრო არის! ჩვენ გვეჭირვება ისეთი კ ცი, რომელიც ქვეყნისათვის ზრუნავდეს და სასარგებლო იყოს, თორემ სადილ-ვახშმის ჭამისთვის თუ ვირჩევთ, გარემ „კოლხიდის" პატრონი ჭილაძე ავირჩიოთო, ის თუ არას გააკეთებს, ქვე—მაინც არას წაახდენს! არა, ჩვენ ახლა გვმართებს კაცის მოძებნა!"

ამას ბრძანებს და გულში კი თავის თავსა ჰსახავს!.. ვერ მოგართვით, კნიაზო! განა გველი მაისში გაბულბულდება? აქამდი სად ბრძანდებოდით? თუ იცოდით, რომ ქვეყნის კეთილზედ ზრუნვა კეთილი და სასარგებლო საქმეა, რად ერიდებოდით და ერთი ჩხირის-ოდენიც არა გაგიკეთებიათ-რა? ზნებამთ მოგვატყუოთ?.. იჰ, რა ბრძანებაა!.. ნეტავი ისე ჩვენ ჩვენი ამბავი ვიცოდეთ, როგორც სხვების ვიცით! ძნელია მოტყუება!..

მეორე იძახის:

„—ერთხელ მეც მეჭირა დიდი ადგილი, მაგრამ მაშინ გამოუცდელი ვიყავი და მიტომ ვერა გავარიგე-რაო!.. ახლა კი მე ვიციო!"

ხა! ხა! ხა! ხა! შორს!. შორს!.. ენას ნუ ღალავთ ტყუილა-უბრალოდ!—სხვისი მონაა და გაუფრთხილდით!

მესამე ფიცით ირწმუნება:

„—ამორჩეულმა უნდა ნასწავლ და მოწინავე კაცებს დაუჯეროს ხოლმეო!"

რაო? რაო? ახლა, კნიაზ? რატომ აქამდე არ უჯეროდით? და ან რას დაიჯერებთ, რომ ყოველივე თქვენი საწინააღმდეგო უნდა გირჩიონ?!

რიგი რას ამბობს და რიგი რას, ყველა კი იტყუება, ვერც ერთს ვერ მივართმევთ და ნურას უკაცრავათ!..

მაგრამ რას ვანბობთ ჩვენ?.. ჩვენ ვინა გვკითხავს! ვინ რას დაგვიჯერებს იქ, სადაც გაზეთი და მწიგნობრობა გაშლილი სუფრაა, მჭევრმეტყველება—ზუთხ-ორაგული, ჭკუა—სხვა-და-სხვა მოხარშულ-შემწვრები და სინიდისი—ოც-და-ხუთიანი?!.

არა, უმჯობესია ჩვენ შორიდან ვუყუროთ სეირს, სტვირი დაუკრათ და ზედ დავმღეროთ:

დამდეგ მაისს დაიწყება
შინაური ომი:
დას-დასებად გამოვლიან
მარშლობისა მდომი!
ზოგს შაშხები აიმედებს,
ზოგს ზუთხი და ლომი...
თუმცა არცერთს არ მიუძღვის
ქვეყნისთვის ნაშრომი,
მაგრამ კერძოდ ბრძანდებიან
მარჯვეთ ქვეშ-ქვეშ მძრომი.

—

გონებით და განათლებით
ყველა არის ჩინი...
სხვისსასაც ვერ გაიგებენ,
არ უნდა ჩიჩინი!
მეკვნჭეებს მით უდგებათ
მუდამ თვალის ჩინი,
რომ საჭმელზედ ბლომად ჰყრია
მიხაკ-დარიჩინი!..
ხალხს ხბოს თავი, და მარშლებს-კი
წყალობა და ჩინი!

—

მითქმა-მოთქმა და გინება
კრებას აამყრალებს;
ერთი მეორეს ამტყუნებს,
მუხთლობას დააბრალებს;
და სუყველა კი უკულმა
ენას ატრიალებს!
ქრთამიც ბევრი გაიცემა,
აილებენ ვალებს...
სადაც ფული ველარ გასჭრის,
იქ იმხრობენ ქალებს,
და წინ ვინღა დაუდგება
მათ უცნაურ ძალებს?!

—

ეს მაისიც არ იქნება
სხვებზედ უკეთესი!
ესეც ისე გათავდება,
როგორც არის წესი:
ღვარძლ-გორეალა გამრავლდება
ხალხში დანათესი,—
ვარდს დააჭკნობს და ეკალს-კი
უმაგრდება ფესვი!

აკაკი.

რა იგინი, მაშინ იმან, შემდეგ უკუ-ქცევისა, თავის შვილს შობოსს დაუ-მკვიდრა ქართველთ-სომეხთ ტყვენი იმ ადგილებითურთ, რომელნიც თერ-გის დასავლეთად მდებარებენ კავკასის კიდემდე შობოსის შთამომავალთაგან და ამ ახალთ მოსახლეთაგან წარმოს-დგნენ თურმე ოსნი ანუ ოსეთის მცხოვრებნი. ამ მიდიურ კოლონიას შეადგენდნენ იაზები ანუ საშუალო საუკუნოების ალანები“.

აზები ანუ ალანები ცნობილნი არიან ძველადვე. იმათ ეჭირათ მთე-ლი მხარეები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის შორის, ჩრდილო-აღმოსავლე-თით. ალანებს წარმოგვიდგენენ სხვა-და-სხვა ქვეყნის მწერალნი შემძლე და მეომარ ტომად. ჩინელნი იმათ ჰხა-დიან ჰუნნებად, მაგრამ იმათი აგე-ბულება ინდო-ევროპიული შთამომავ-ლობას მოგვაგონებს. პირველ საუ-კუნეს ქრისტეს წინ ალანებს დაეხს-ნენ ჰუნნი; ალანნი იძლივნენ და ზოგნი მეოტიის ზღვისკენ და დუნაის მდინარისკენ მიილტვნენ, ზოგნი კავ-კასის პირად შემოჯგუბდნენ და თვით ჩრდილო კავკასის ხეობაებში შეფარ-დნენ. ამ დროდამ აქ დიდ ხეობას უცხო-ტომთ უწოდეს ალანეთის კა-რად, ქართველებმა დარი-ალად, და-რი-ალანად. იმათ ჰყავნდათ საკუთა-რი მთავრები. მე-XIII საუკ. მონგო-ლებმა ბატუ-ხანის დროს და მასუკან ყაბარდოელებმა ისინი ვაკე-მინდვრე-ბიდამ განდევნეს და სრულებით შე-ჰყლიტეს კავკასის მთებში, სადაც აქამომდე ცხოვრობენ. ამ დროს უნ-და იყვნენ იგინი გადმოსახლებულნი საქართველოს მხრივ მდებარე მთის ხეობაებში. ამ ალანთ ადგილ-სადგომს ჩვენ ქართველები ვუწოდთ ოსეთად, თვით იმათ ოსებად. ოსები უწოდე-ბენ თაიანთ თავს ირონებად, თავი-ანთ ადგილ-სადგომს ირონისტანად. ირონი იყო ძველი სახელწოდება მი-დიისა და მიდიის მცხოვრებლებისა. თვით ოსების ყოფა-ცხოვრება და იმათი ენის გამოკვლევა ჰმოწმობენ ოსების ნათესავურ დამოკიდებულე-ბას მიდიელებთან, სპარსებთან და ნემცებთან, რომელთაც ერთი მომ-დინარეობა აქვთ სპარსებთან. ჰექტ-გაუზენის შენიშვნით, „დაწყნარებუ-ლი ოსის საუბარი, რომელიც სხვა კავკასიელთ მოსაუბრობას არ მიემს-გავსება, თვით სიტყვის წარმოთქმის თვისება და ხმა მოგვაგონებენ ნემე-ცურ ენას, სახელდობრ ჩრდილო-ნემეცურს, ასე რომ ცოტა მოშო-რებით თქვენ გგონიათ, რომ ქვემო-საქსონური გლეხის ლაპარაკი მოგეს-მით და მხოლოდ სიშორის გამო ვერ არჩევთ სიტყვებს“.

# განცხადებანი

—

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მი-ღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაპიროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—62)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარ-კვიანის ქართული წიგნის მაღაზია-ში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავ-ლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა და-გვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მა-სალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთ-ხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირვე-ლივე წამომავალი ფოშტითა. (50—49)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მუ-რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტე-ები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშ-ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, წუღები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვი-ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მა-ღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრი-კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და-ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე-ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—71)

---

ი. და ვ. ჭილაძეთა

წიგნის მაღაზია

## ქუთაისში

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

რომელსაც წინედ პ. ფ. ზერარდის მაღაზია ერქვა, დღეიდამ ჩვენს ხელ-ში გადმოვიდა. ვეცდებით ყოველს ღონის-ძიებას, რომ მაღაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წავიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზო-გადოება არა თუ არ მოაკლებს თა-ვის ყურადღებას ამ მაღაზიას, რომე-ლიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდი-ლობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მაღაზიას აქვს ყვე-ლა სასწავლებელთათვის **ყოველ-გვარი სახელმძღვანელო და ხელსაწყობი.** მრავალი საკითხავი წიგნები ქართუ-ლი და რუსული, ნოტები და სხვ.

მაღაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ჟურნალ-გაზეთებზე სარედაქ-ციო ფასით. (5—5)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდ-გან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა. (3—3)

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუა-ლეტის საპონი, დუხები და სხვ (100—83)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-სა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნა-გირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩი-ვინი ზეთისა) და სხვ. აგენტი მა-კინტოშის მოსაწყობილი გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მუ-რაბისა, აგრეთვე წუღებისა და წინდე-ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანის სიგარები. (100—69)

---

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თი-თო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლე-პიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომე-ბი, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—28)

---

### ტაქსია

საკვებად ხორაგეულებზედ, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დატარებით 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:
პირველის ხარისხის—1 გირ. —
მეორის „ —1 გირ. $3^1/_2$
მესამის „ —1გირ. 3 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გირ. 6 კ.
მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის.ლავაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ „ —1 გირ. 5 კ.
მესამის „ „ —1 გირ. $4^1/_2$

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ. 11 კ.
მეორის „ —1 გირ. 9 კ.
სუკი — — —1 გირ. 16 კ.
ცხვრის ხორცი 1 გირ. 11 კ.

ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ. 11 კ.
მეორის „ —1 გირ. 10 კ.

*Дозволено цензурою. Тифлисъ*, 27 *Января 1882 г.* *Типографія С. Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი